2017 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

(შემდგომში-სამინისტრო) მიერ განხორციელებული სოციალური კამპანიები:

სამინისტრომ 2015 - 2017 წლებში (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 ოქტომბრის №839 ბრძანების საფუძველზე) განახორციელა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანია „შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“, რომლის მიზანი იყო ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენცია, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ინფორმირებულობა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

2017 წელს საგზაო მოძრაობის კამპანიის ფარგლებში სამინისტროს მიერ

განხორციელებული აქტივობები და ბიუჯეტი

✓ სამინისტროში მასშტაბური ღონისძიება გაიმართა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირების მიზნით, რასაც სახელმწიფო სტრუქტურების, მედიის, არასამთავრობო და კერძო სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ (იხილეთ http://police.ge/ge/shss-m-sagzao-modzraobis-usafrtkhoebis-kvireuli-daitsko/10604).

ადმინისტრაციული ხარჯი

✓ სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://police.ge) განთავსდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შესახებ დეტალური ინფორმაცია;

ფინანსური დანახარჯი სამინისტროს არ გაუწევია

✓ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესახებ მომზადდა ორი საინფორმაციო ვიდეორგოლი - უკონტაქტო პატრულირებაზე და ქულათა სისტემაზე, რომლებიც 2017 წლის 20 ივნისიდან, ერთი თვით განმავლობაში მედია საშუალებებში („იმედი“, „ჯიდიეს“, „მაესტრო“ და „საზოგადოებრივ მაუწყებელი“) უსასყიდლოდ განთავსდა. ასევე, ვიდეორგოლები დატრიალდა სოციალურ მედიაში და რადიო „ფორტუნას“ ხუთ რადიო-სადგურში.

ფინანსური დანახარჯი სამინისტროს არ გაუწევია

✓ სამინისტროს ორგანიზებით დამზადდა საინფორმაციო წიგნაკი რომელიც ეხებოდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებებს უკონტაქტო პატრულირებისა და ქულათა სისტემასთან დაკავშირებით. სამინისტროს თანამშრომლებმა (პატრულ-ინსპექტორი) აღნიშნული საინფორმაციო წიგნაკი მთელი ქვეყნის მასშტაბით კანონის ამოქმედებამდე დაურიგეს მოქალაქეებს.

ადმინისტრაციული ხარჯი - 10 980

✓ სამინისტრომ 2017 წლის 1 ნოემბრადე (ვიდეოჯარიმების აღსრულების ახალი წესი კანონიერ ძალაში შესვლამდე) ერთი კვირით ადრე მოამზა და მოქალაქეთა მაქსიმალური ინფორმირების მიზნით სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით გაავრცელა საინფორმაციო წიგნაკი ვიდეოჯარიმების აღსრულების ახალი წესისა და სამინისტროს ტექნოლოგიური სიახლეების (ე.წ. „ჭკვიანი კამერები“) შესახებ.

ადმინისტრაციული ხარჯი

✓ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე მოზარდების ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2017 წელს სპეციალურად გადამზადებულმა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა (პატრულ-ინსპექტორი), მთელი ქვეყნის მასშტაბით 26 (ოცდაექვსი) საჯარო და კერძო სკოლის, 2000-ზე მეტ დაწყებით კლასის მოსწავლესთან საინფორმაციო-ინტერაქტიული გაკვეთილები ჩაატარეს.

ფინანსური დანახარჯი შს სამინისტროს არ გაუწევია

✓ სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კვირეულის - „შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“ ფარგლებში, ქ.თბილისში - (ყოფილი იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე) მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, გალაკტიონის ხიდის ახლოს მდებარე გვირაბების კედლები, ქ.ბათუმში - ბათუმი-ჩაქვის დამაკავშირებელი გვირაბი და ქ.ბათუმის პორტის კედლი სტრიტ-არტის სტილით მოიხატა (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიის ლოგო - საგზაო ნიშნებით დაფარული გულით და სლოგანით).

✓ სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიას საგზაო დეპარტამენტის აჭარის საავტომობილო გზების სამსახური და ქ.ბათუმის „შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის“ სტუდენტებიც შეუერთდნენ, რომლებმაც ქ.ბათუმის ქუჩებში მძღოლებს სამინისტროს კამპანიის - „შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“ საჩუქრები გადასცეს.

საერთო ღირებულება - 400 ლარი

✓ სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიის ფარგლებში ქ.თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე მდებარე ერთ-ერთ მოქალაქეთა გადასასვლელთან „ზებრა“ სიმბოლური აქცია-პერფორმანსი გაიმართა.

✓ სამინისტრომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიის ფარგლებში წარმოადგინა პროექტი - „ეს ჩემი ქალაქია“ მოქალაქეებს და ქ.თელავში მოწყობილ იმიტირებულ ქალაქში უმასპინძლა მოქალაქეებს. სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიას საქართველოს ავტოსივრცეში ავტობაზრობა „ავტოჰაბი“ შეუერთდა და მისმა თანამშრომლებმა კამპანიის ფარგლებში დამზადებული სტიკერები ობიექტის ტერიტორიაზე არსებულ 300-ზე მეტ ავტომანქანაზე განათავსეს.

ფინანსური დანახარჯი სამინისტროს არ გაუწევია

✓ სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კვირეულის - „შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“ და ევროპის დღეების ფარგლებში, ქ.თბილისში სამოყვარულო ველოგარბენი - „გზა ევროკავშირისკენ“ გაიმართა. ღონისძიება ჩატარდა სამინისტროს, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით.

სამინისტროს ადმინისტრაციული ხარჯი და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ბიუჯეტი

✓ სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა და საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტმა, სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კვირეულის და გაეროს საგზაო უსაფრთხოების მეოთხე გლობალური კვირეულის ფარგლებში, ქ.რუსთავის ავტოდრომზე მძღოლებთან საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრა გამართეს.

ღონისძიების ორგანიზატორებმა, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნეს ის რისკები და საფრთხეები, რომლებიც საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას მოსდევს, მათ შორის, სიჩქარის გადაჭარბებას.

საერთო ღირებულება - 311,81 ლარი

✓ სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიას - „შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“ საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები (მუნიციპალიტეტების თანამშრომლები, მხატვრები, სტუდენტები და მოსწავლეები) შემოუერთდნენ. ადგილობრივი თვითმმართველობების მხარდაჭერით, მთელი ქვეყნის

მასშტაბით, სხვადასხვა ქალაქში ერთდროულად 20-მდე მოქალაქეთა გადასასვლელი „ზებრა“ მოიხატა.

ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტი

✓ სამინისტრომ დაამზადა 2 (ორი) საინფორმაციო ვიდეორგოლი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ვიდეოჯარიმების აღსრულების ახალი წესისა და სამინისტროს ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ (ე.წ. „ჭკვიანი კამერები“). აღნიშნულის მიზანი გახლდათ ფართო საზოგადოების ინფორმირების, რომლებიც ორი კვირის განმავლობაში მედია საშალებებში - („იმედი“, „ჯიდიეს“, „მაესტრო“ და „საზოგადოებრივ მაუწყებელი“) უსასყიდლოდ განთავსდა. ასევე ვიდეორგოლები გავრცელდა სოციალურ მედია საშუალებებში.

ფინანსური დანახარჯი სამინისტროს არ გაუწევია

✓ სამინისტრომ, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიის ფარგლებში ქ.თელავში, ქ.ბათუმში, ქ.გორში, ქ.ახმეტაში, დუისსა და ახალციხეში იმიტირებული ქალაქი მოაწყო, სახელწოდებით „ეს ჩემი ქალაქია“. აღნიშნულ ღონისძიებაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით სხვადასხვა შემეცნებით/გასართობი კუთხეები იყო მოწყობილი.

საქართელოს 7 (შვიდი) რეგიონში გასვლითი ღონისძიების საერთო ღირებულებაა - 88, 592 ლარი

➢ სამინისტრომ, 2016 წლიდან ერთი წლის მანძილზე ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ განახორციელა ფართო მასშტაბიანი სოციალურ კამპანია „ძალა ნდობას“, რომლის ფარგლებში 2017 წელს დედაქალაქისა და რეგიონების საჯარო და კერძო სკოლებში, 2500-მე უფროსკლასელთან, მათ შორის ეროვნული უმცირესობის მოსწავლეებთან ძალადობის ფორმების და მისი პრევენციის შესახებ სამინისტროს თანამშრომლებმა საინფორმაციო-ინტერაქტიული შეხვედრები გაიმართეს.

ოჯახში ძალადობის თემაზე „ძალა ნდობას“ მომზადდა საინფორმაციო-სოციალური ვიდეორგოლი, რომელიც ტელე-რადიო ეთერში და სოციალურ მედია საშუალებებში განთავსდა.

კამპანიის ფარგლებში 2017 წელს სამინისტროს იმ დანაყოფების თანამშრომლებს, ვისაც უშუალოდ სამსახურებრივი შეხება აქვთ ოჯახში ძალადობის ფაქტებთან და მასზე რეაგირებას ახდენენ, კერძოდ უბნის ინსპექტორებსა და საპატრულო პოლიციის

თანამშრომლებს, ოჯახში ძალადობის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ გადამზადების კურსები ჩაუტარდათ - ქ.თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, ქ.კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში.

სამინისტრო ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ თექვსმეტდღიან საერთაშორისო კამპანიას შეუერთდა, რომლის ფარგლებში, სამინისტროს თანამშრომლები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგებთან ერთად, საქართველოს რეგიონებში, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ადგილობრივ მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრები გამართეს.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით

✓ სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, 2015 წლის მაისიდან - დღემდე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტს „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“, რომლის მიზანია არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება.

პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებს სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფებში უტარდებათ გაცნობითი ხასიათის შეხვედრები ასევე, ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები უშუალოდ სკოლის ტერიტორიაზე მართავენ საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრებს და სპეციალურად გადამზადებული სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მოზარდებს საგზაო მოძრაობის წესებზე ესაუბრებიან. პროექტში მონაწილეობენ არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები.

2017 წელს საგანმანათლებლო პერიოდში, მთელი ქვეყნის მასშტაბით 43 საჯარო და კერძო სკოლის, 4500-ზე მეტ მოსწავლესთან გაიმართა საინფორმაციო-ინტერაქტიული გაკვეთილი;

ფინანსური დანახარჯი შს სამინისტროს არ გაუწევია

✓სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა სხვადასხვა უნივერსიტეტის, მათ შორის საქართველოში მცხოვრებ უცხოელ და ეთნიკური უმცირესობის 300-მდე სტუდენტთან, კიბერდანაშაულის და ტრეფიკინგის საკითხებზე საინფორმაციო -

ინტერაქტიული შეხვედრები ჩაატარეს. ღონისძიების მიზანი იყო ორგანიზებული დანაშაულის ფორმების, მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესახებ სტუდენტების ცნობიერების ამაღლება და დანაშაულის პრევენცია. სამინისტროს წარმომადგენლებმა სტუდენტებს კიბერდანაშაულისა და ტრეფიკინგისგან დაცვის მექანიზმები გააცნეს.

ფინანსური დანახარჯი სამინისტროს არ გაუწევია